[...]სცამბა და რედაქცია
[ტფ]ილისი, სასახლის ქ.,
[თ]თ.-აზნაურთ ქარვასლა
[ხელ]ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
[თად] მიმართავენ რედაქციას დილის
[..]-3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
[ხელ]-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

[პირ]ადი მოლაპარაკება რედაქ-
[ტო]რთან შეიძლება ყოველდღე.
[ტე]ლეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

უკანასკნელი წარმოდგენა

## ქართული თეატრი

შაბათს 27 თებერვალს

ბენეფისი

ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან ეფ. მესხისა, რენელისა, ქ-ნ ჩერქეზიშვილისა, ვ. გუნიასი და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

ახალი პიესა

სულთა-მხუთავი

დრამა 5 სურათად. თარგ. დ. მესხის-მიერ.

II

ოხრები

ფარსი 3 მოქ. გადმ. თ. სახოკიასი და ვ. გუნიას-მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასაში

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

უკანასკნელი წარმოდგენა

უკანასკნელი წარმოდგენა

ხვალ ამ ადგილს დააკვირდით

ისმის, სამსახურიდან გადამდგარ პოდპოლკოვნიკს თავ. მ. ჯანდიერს, აზნ. ი. დ. იორამიშვილს, თიონეთის სოფლის ექიმს მუხარინსკის და ბლაღოჩინს ვ. გძელიშვილს განზრახვა ჰქონიათ დააარსონ თიონეთის მაზრის ს. ახმეტაში უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. წიგნთ-საცავის წესდება უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ დამფუძნებელთ დასამტკიცებლად სათანადო მთავრობისათვის.

*** **ქართული წარმოდგენა ბათომში.** ამ ჟამად ბათომში ქუთაისის ქართული დრამატიული დასი, ბ. ვლ. ალ.-მესხიშვილის მეთაურობით და მონაწილეობით, წარმოდგენებს მართავს. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრება. ორშაბათს, 22 თებერვალს, წარმოადგინეს „კონსტანტინე ბატონიშვილი“—ალ. ყაზბეგისა.

*** **მუშა-პრაქტიკანტების მიღება საქარის საჩქოლეში.** როგორც იუწყებიან, ამ წლის 1 მარტიდან საქარის საჩქოლეში დაიწყება მუშა-პრაქტიკანტების მიღება. თუ კანდიდატების რიცხვი დიდი აღმოჩნდა, დაინიშნება საკონკურსო გამოცდა. იმავე საჩქოლედან მომავალ აპრილის დამლევიდან განზრახულია გამოუშვან მუშა-პრაქტიკანტები. იმავე ხანებში, წარსულ წლების მგზავსად, გაიმართება მყნობელთა კონკურსი. განზრახვა აქვთ, რომ საუკეთესო მყნობელ-პრაქტიკანტებს მისცენ ჯილდოდ ბაღის იარაღები და სხვ.

*** **ქალაქის მოურავისაგან ბოდიშის მოხდის მოთხოვნა.** ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ტიგრანოვმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა იმის შესახებ, რომ ქალაქის მოურავმა ბ. ევანგულოვმა ბოდიში მოიხადოს საბჭოს სხდომაზე ხმოსნის ბ. ხუდადოვის წინ იმის გამო, რომ მან, ქალაქის მოურავმა, მისსა და თავ. არღუთინსკის შორის მომხდარ უთანხმოების საქმის განხილვის დროს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე, 22 თებერვალს, შეურაცხყო ხმოსანი ბ. ხუდადოვი სიტყვით „ეს სიცრუეაო“.

*** **ყვავილის შემცირება.** ქალაქში ყვავავილით ავადმყოფობა შე-

მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

[...]ეთ სწორეთ იმ ფირმებიდან [...]ისეთივე საიმედო, როგორც [წა]რსულ წლებში, ბაღდადების [...]ურლუშიული ჯიშისა დიდი მა[...]რეშუმის თესლი. მსურველთ [...]იანთ მოგვმართონ ჯერ-ჯერ[...]თ: ოზურგეთში, ახალსენაკში [...]თუმში ჩვენს წიგნის მაღა[ზიებს,] რომლებთაც დაეთმობა [...]იაფად. საიმედო პირს ვაძლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყიდით სულ მცირე ფასათ ბჟოლის ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის მოვლა მოშენებაზე.

(20—2) ძმ. თავართქილაძეები.

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-

# ახალი ამბავი

—

*** **წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების განზრახვა.** როგორც

სამჩნევად შემცირდა, და ამ ჟამად ქალაქის ფარდულებში იმყოფება მხოლოდ 16 ავადმყოფი.

*** ამერიკული ვაზების დარგვა სკოლებთან. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის დადგენილებით, განზრახვა აქვთ წელს დახმარება აღმოუჩინონ სამოსწავლო უწყებას ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სახალხო სკოლებთან ამერიკულ ვაზების გაშენებაში, იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებში გავრცელებულ იქნეს ამ ვაზების მოვლა-მოშენების წესები სხვათა შორის, განზრახვა აქვთ გააშენონ ამერიკული ვაზები რაჭის მაზრის პატარა ონის სკოლასთან, რადგან ამ მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ხიდის კარამდე-კომიტეტის აზრით, უკვე არსებობს ფილოქსერა. ამერიკული ვაზების წალება ამ კუთხეში შეიძლება საქარის საჩქოლედან.

*** ცხვალისის ქალაქის გამგეობის შემოსავალ-გასავლის (მეორე) განყოფილების მართვა-გამგეობა მიენდო გამგეობის ახალ წევრს მ. ს. შესტაკოვს.

*** ჩაის ყანება კავკასიაში. როგორც ისმის, წელს მიწად-მოქმედების სამინისტრო გამოგზავნის მცოდნე კაცებს კავკასიაში სამ ადგილას ჩაის ყანის გასაშენებლად.

*** სათავად აზნ. საადგ.—მამ. ბანკის რწმუნებულთა არჩევნები ქუთაისში. 21 თებერვალს ქუთაისში მოხდა ადგილობრივი სათავად-აზნ საღვ.—მამ. ბანკის პირველ ხარისხის მესეხებელთა კრება. კრებაზე გამოცხადდა 24 ამრჩეველი, რომელთაც უნდა აერჩიათ 35 რწმუნებული და 5 მათი კანდიდატი. 65 კაცისაგან, რომელთაც კენჭი უყარეს, არჩეულ იქმნენ: დ. კ. დადიანი, ნ. დ. ერისთავი, გ. ს. აკოფოვი, ო. ს. მდივანი, ი. პ. ჯაიანი, ი. გ. ანდრონიკოვი, ს. ზ. კიკნაძე, ყაზაროვი, ა. ნ. აბდუშელიშვილი, კ. ნ. ჩიკვაიძე, გ. ე. წერეთელი, ა. ს. ეზიკოვი, გ. ხ. კიზირია, დ. ხ. ბოკერია, ნ. გ. რაფაელოვი, დ. ა. ლორთქიფანიძე, ს. ვ. ჯორჯიკია, მ. ნ. ქუთათელაძე, ი. ს. ალიბეგოვი, კ. ა. ჩხეიძე, ა. ვ. მურადოვი, ნ. ტ. ლოლუა, ა. ს. საყვარელიძე, ვ. გ. გაბუნია, ლ. მჭედლიშვილი, ი. ს. მამაჯანოვი, გ. ცაგარეიშვილი, გ. ო. კემულარია, მ. ა. ქიქოძე, ი. ს. მაინდუროვი, ი. გ. ჯალალოვი, მ. ე. დარახველიძე, პ. ა. თუმანოვი, ლ. ხეჩინოვი, კ. გ. ადამაია. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: კ. დ. ნიჟარაძე, პ. გ. გაბაშვილი, გ. ელიავა, დ. ი. გუგუშვილი და გ. რატიშვილი. გაშავებულ იქმნენ: ა. მ. ჭყონია, გ. ფ. ზდანოვიჩი, კ. დ. ბაქრაძე, ი. ო. სანებლიძე, ი, ა. დუმბაძე და სხ.

*** მამოსვლის აღდგენა. ქუთაისიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მარხილით მიმოსვლა ქუთაისსა და ონს შუა აღდგენილ იქმნა.

— ფოსტისა და მგზავრთა მიმოსვლა გომბორზე, რომელიც შეწყვეტილი იყო დიდი თოვლის გამო, ამ ჟამად უკვე განახლდა, თუმცა აღნიშნულ ადგილზე გზა ძნელი გასავლელია.

*** ნავთის წარმოების საქმე კავკასიაში. სატახტო გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში მისულან ამერიკელ კაპიტალისტთა წარმომადგენლები, რომლებიც შუამდგომლობენ ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ ადგილები გამოიკვლიონ კავკასიაში, სადაც მათ განზრახვა აქვთ იჯარით აიღონ დიდ-დიდი ნავთიანი ადგილები.

*** მეეტლეთა და მეჯაგვეთა მამასახლისები ბათუმში. თებერვლის 18 ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა არჩევანი მეეტლეთა და მეჯაგვეთა მამასახლისებისა, გამგეობის წევრის გ. ვოლსკის და ხმოსანის სურგულაძის თანდასწრებით მეეტლეების მამასახლისად აირჩიეს ი. კუჭავა მეჯაგვეების მამასახლისად არჩეულ იქმნა ს. მერკვილაძე, რომელიც ეს მეხუთედ ირჩევა ამ თანამდებობაზე.

*** უმწეო და ავადმყოფი დედაკაცი. სურფნიშნის ქუჩაზე, ოქრომჭედლების მახლობლად სცხოვრობს (№ 14) ერთი ქართველი დედაკაცი, ანასტასია ფარეხიშვილისა (70—80 წლისა), რომელიც, მიუხედავად თავისის სიბერისა, საკუთარის შრომით სცხოვრობდა და ეხლა ორი კვირა იქნება, რაც ლოგინად ჩავარდა და უპატრონოდ და უნუგეშოთ არის მიტოვებული ისე, რომ არავინ ჰყავს ექიმი მაინც მიჰგვაროს, და ან წამალი მიუტანოს. ამასთან საცხოვრებელი სახსარიც არა აქვს. იმედია, ჩვენებური ქველ-მოქმედნი ყურადღებას მიაქცევენ და შემწეობას აღმოუჩენენ ამ საბრალო დედაკაცს.

*** ქ. სიღნაღი. საქველ-მოქმედო საღამო. სამოქალაქო საქალებო სასწავლებლის სასარგებლოთ ამ თვის 14-ში საცეკვაო საღამო იყო გამართული, ბილეთები ბლომათ დაარიგეს მაზრაში და ქალაქშიც და ხალხიც ბევრი დაესწრო, თუმცა ნახევარი ბილეთების მქონე ხალხი არ მოვიდა. საღამოსათვის მოწვეული იყო 43 დრაგუნის ტვერის პოლკი თუქურმიშიდან ლეკურის საცეკვაოთ კი უკრავდა ზურნა. აქვე იყო გამართული ბუფეტი და ძალიან კარგათაც ივაჭრა. სრული შემოსავალი საღამოდან 1000 მანეთამდის იქნება. საღამოს საერთოთ არა უჭირდარა წყნარათ ჩაიარა, მხოლოთ საგრძნობელი სივიწროვე იყო ნამეტნავათ საცეკვაო დარბაზში. მოთამაშე ყმაწვილები ძალიან ცოტანი იყვნენ და ვინც იყვნენ ისინიც ერთსა და იგივეს ათამაშებდნენ, ბევრი ქალიშვილები კი უთამაშოთ დარჩნენ, რის გამოც ცოტა არ იყო უკმაყოფილონი დაბრუნდნენ სახლში. თუმცა ამ გარემოებას თავიდან აცილება და ყველას გულის მოგება ადვილი მოსახერხებელი იყო, როგორც ადვილათ მოსახერხებელი იყო იმ უწესოების თვიდგან აცილება, რომელიც მოხდა წამოსასხმელ და კალოშების საწყობს ათახში. ვინც ადრე გამოსულიყო იმათ სულ ახლები წიღლით და თავიანთ მიგლეჯილ მოგლეჯილი ძველი კალოშები კი აქ დაეტოვებინათ, ეს გარემოება ძველია და არა ახალი. ამის თავიდგან ასაცდენათ კი საჭიროა ორი ალაგი დაინიშნოს კალოშების საწყობათ ერთი მდაბალი ხალხისთვის, რომლებიც როგორც ემცნევათ თავის ძალით მიჩეჩებულ ბილეთების ფულს იმითი ანაღდებენ ხოლმე, რომ ძველს კალოშებს მოიტანს, ან სულ არ მოიტანს და აქედგან-კი ახალი კალოშებით მიბრძანდებიან; და მეორეც დარბაისელ ხალხისათვის. მართალია მიზნის მისახწევად სულ ერთია, ვინც უნდა აიღოს ბილეთი კინტომ თუ არისტოკრატმა, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმათზედ (კინტოზე) ერთს ბილეთს ასაღებს და იმასაც აქვე ინაღდებენ, და სხვა დარბაისელ ოჯახებიდგან კი ზოგიდგან 5—7 არიან ხოლმე, რომელნიც 7—10 მ. გარდასახადს იხდიან ბილეთებისას, ახლა ბუფეტში, სადაც მდაბიო ხალხი არ შედის, ამას კი ზედ კალოშების ფასიც ატყდება, რაც მეტად საგრძნობელია შეუძლებლის კაცისთვის.

დამსწრე

*** ს. დისევი (ქართლი). ცრუ-მორწმუნოება და საბრალო. ამ ჟამად ძალიან გავრცელებულია, როგორც სოფ. დისევში, აგრეთვე მთელს გორის მაზრაში მკითხაობა და ჯადო თილისმობა. ისე არ იქმნება, რომ გიჟ იანვრის სიცივეებმა არავის ხველა-სურდო მაინც არ შეჰყაროს, ან კიდევ მომეტებულმა წითელმა ღვინომ არავის ვნება არ მოუტანოს. მთელი ზამთარი ძალიან მოწყენით

არის ჩვენი გლეხ-კაცი, ან კი
თი გაერთოს საწყალი? გარეთ
სვლას დაჩვეული არ არის. ც
შვილს და სახლ კარსაც თავს
ანებებს, სამუშაო ზამთარში
აქვს რა, წიგნის კითხვა მან
იცის, ასე რომ მთელს დღეს
დით კერასთან ჯდომით ატა
და მობინდებისათანავე, სამ
უქონლობის გამო, მაშინვე
შმებენ და თავიანთ ცოლშვი
ეძლევიან ტკბილს ძილს. მა
სულ მუდამ ამგვარი ცხოვრ
სწყინდებათ, მაშ სად წავი
და რითი გაერთვნენ? ისევ გუ
გამხარებელი ღვინით, რომე
თავში ავარდნის უმალ ავიწ
ნებთ ყოველ დარდს, ვარამს
ათვლევინებს თავიანთ თავს ბ
ბედნიერად. სიმთვრალეში ც
ბიან და ათასნაირი სენით ხ
ან ავად, უწამლობის გამო
მყოფობა ვრცელდება რამდე
თვე და ხან წელიც, ბევრს
განს სამარეშიაც ადგმევინებ
ექიმს თავის დღეში არ მიჰმა
ვენ, რადგან ჰგონიათ, რომ
მყოფს ძალათი წუთი სოფელს
ლმებენ და ამიტომაც თავ
მხსნელად ისევ მატყუარა მკით
ბი უცვნიათ. აქ მე მოგიყ
ერთს ისეთს მაგალითს, რომ
განაც დარწმუნდებით თუ რა
ვლენა აქვთ მკითხავებს ჩვენს
ბიო ხალხზედ. რამდენიმე
წინათ ქ. გორიდგან ცხენით
დიოდი ს. დისევში. იანვრი
ქი სიცივე სულ თვალებიდან
მლებს მაყრევინებდა. მეც
ძალი და ღონე მქონდა ქუ
ცემით მივაჭენებდი ჩემს ბედ
ს. ახრისის თავში წამოვეწი
ნებურს გლეხ-კაცს მიხას, რო
საც ურმით მიჰყავდა ცოლი
თხავისაგან. მიხა დაგლეჯ
ქალამნებით წინ მიუძღოდა
და ისე უკვლევდა თოვლს,
კი ქალბატონივით ურემში
ძანებული, თავზე თეთრი ხი
ნდი წაეკრა და სიტიტვლის
ის ურესათ ძაგძაგებდა
სუსხით. წამოვეწიე თუ არა
მაშინვე მივხვდი თეთრ ხი
დზე, რომ მიხას ცოლი მ
თან ეყოლებოდა, ამიტომ
ყენე ცხენი და შევეხმიურე:

— გამარჯობა მიხა!

— - ღმერთმა გამარჯვება მ
ბატონო, მიპასუხა ხმის კან
— სად ყოფილხარ მიხა,
ყობა შორიდგან მოდიხარ,
აგრე შეგცივნია.
— ახრისიდგან გიახლებით
ჰირიმე, წიპლუა მკითხავთან
ლდით.
— მერე რათ იყავ ჩემო
დავეკითხე ხელ-მეორეთ
— ჩემ დას თვალები
შენი ჭირიმე, ე ჩემი დედ
ჩამაცივდა, წავიდეთ გავ

ეთ და იმითვინ გახლდით.
—მერე რა გითხრა?
—რაღა რა მითხრა, შენი ქი-
და პირი კომლობა ამოუწ-
წიპლუა მკითხავსა, საცა ხა-
და სალოცავები იყო, სულ
ზე წამომკიდა.
—მაინც რა გითხრა?
—რაღა რა მითხრა და ასე
: „შენ დას გერის წმ. გი
, გორიჯვრისა, არბოსი,
სა, ივანე მახარებლისა და
მთაზედ რომ რაღაც დან
ელი ეკკლესიაა იმისი, მღვთის
ლისა, ძელი ჭეშმარიტისა
ლაო სალოცავის ქვაშვეთის
აქვსო. წმ. გიორგი გერი-
არბოსი და გორიჯვრისა, ბა-
ებსა, პარაკლისსა და ღამის
სა გთხოვენ, დანარჩენნი კი,
კლისსა და საწირავსაო. თუ
ლაფერს ამას აასრულებ, ხომ
მყოფი მორჩება და თუ არა,
მორჩენა ძნელიაო. აბა, შენი
მე, ემდ ნი რამეები როგორ
რულო, ზაფხული მაინც
კიდევ წავიყვანდი დავლო-
ი, მაგრამ რა უყო ამ შუა
არში.
—არა ჩემო მიხა, შენ მაკ მკი-
ების რჩევას თავი დაანებე
ვენიან, თორემ ყველაფერი
შეასრულო, შენ ოჯახს მე-
ალარ უნდა, სჯობს შენ დას
შინაურულათ უწამლო, აი
გინდა მე თითონ გასწავლი:
ში ბოლს ნუ დააყენებთ, თო-
ედაც, მომეტებულად როცა
ნი დღე იყვეს, ნუ გამოვა,
დაწოლის დროს ცივი წყ-
დასველებული ტილო
ოს და აბა თუ ყველა ამ და-
ების შესრულების შემდეგ
არგით არ გახდეს, სულ მე
ნეთ. მიხას მართლა ჩემი რჩე-
დაეჯერებინა და ერთი კვი-
შემდეგ ავადმყოფი თვალების
ლსგან განთავისუფლებული-
მოურჩა თუ არა მიხას და,
ვე სიხარულით ამოიჭრა ჩემ-
ბევრი მადლობა გადამიხადა
ანაც სწყევლიდა იმას, ვინც
გაბრიყვებოდა და მკით-
ან წავიდოდა.
—ბევრი ხალხი ჰყავდა მიხო
უა მკითხავს? დავეკითხე ლი-
ით.
—რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე,
ნებოდა ნამდვილი „გერითო-
ო, მაგრამ მე იმითანა საკვი-
ლი არა მინახავს რა: ერთ
უკითხავდა, უცბათ წასწვდა
და სულ თავ-პირი გამოაბ-
ა, ისე სცემა, ისე სცემა,
ჰაა... ივანე მახარობელის
ს გეფიცები, რომ ისე ჩვენ
ევსაც არ უცემია გიჟუათვინ
ის ფულზე, როგორც იმ
ამ იმ კაცსა სცემა.

—მერე რაზე სცემა?

—რა ვიცი, ზედამე უდროვოთ მეეხაღნა და იმაზე სცემა, ვითომ ხატითვინ რათ გიწყენინებია-ო.

მკითხაობას კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ მომეტებულად სამწუხარო ის არის, მეზობლებს ერთმანეთს ისე აძულებენ, რომ თითქმის მოსაკლავადაც არ დაინანებენ იმას, რომელზედაც კი მკითხავი ანიშნებს, რომ ის არის იმის ოჯახის დამღუპველი და მიზეზი ავადმყოფის ისე გახდისაო. ამ ჟამად ჩვენ ს. დიცევშიაც თითქმის სამი ოთხი ადამიანია ავად ჯადოთილისმით, თითქმის მთელი გორის მაზრა სულ მოჯადოულებზედ მუსაიფობენ: „იცი კაცო, ეუბნებიან ერთი მეორეს, გიგოს ცოლის ფარდაგისთვის ვიღასაც ფოჩი შეუჭრია. ეგ არაფერი, მაგრამ ჩვენებიანთ ქალითვინ, რომელიც ეხლა გადადებულია, ლეჩაქი შეუჭრიათ, დაუმატებს მეორე. მიტროსაც უნახეს და უკან კოსრო სულ აკრეჭილი ჰქონოდა—დაასკვნის მესამე—და ყველა ამაებზედ დაადგენენ მკითხავის ნაამბობს და მოჰყვებიან მისგან ნანიშნ ადამიანზედ წყევლა გინებას. ნუ გეგონებათ, რომ ამ ნაირი სარწმუნოების ხალხი მარტო დიცევში იმყოფებოდეს დიცევი მომყავს მაგალითად, ე. ი. ისეთი სოფელი, რომელიც ბევრით მაღლა სდგას ყველა სოფლებზედ, არამც თუ მთელს გორის მაზრაში, თითქმის ტფილისის გუბერნიაშიაც კი, და თუ აქ ამნაირი რწმუნება აქვთ, ახლა თქვენც მიხვდებით, თუ რაღა იქმნება სხვა სოფლებში. ძალიან მიკვირს, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ საზარელ მაწაკა დედაკაცებს. ოჰ, ღმერთო! ნეტავ როდის იქმნება, რომ ყოველმა ურწმუნომ ირწმუნოს...

და შეუგნებელმა შესაგნებელი შეიგნოს...

ალ. ლისეურასპირელი

*** დ ხონი. საჭიროა განმარტება. ბ-ნო რედაქტორო! რადგან მიუხედავად იმისა, რომ მე კერძო წერილითაც გთხოვეთ 20 დეკემბერს, თქვენ რაღაც მიზეზის გამო შეუძლებლად ჰპოვეთ გაგრძობა ჩემი წერილისა, რომელიც დაიბეჭდა დეკემბრის 13-ში, შემდეგი სათაურით: „ჯიხაიში—სოფლის წარმატება“ და რომელიც შეეხებოდა ცხენი-წყლის საქმეს, გთხოვთ ეს წერილი მაინც დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში და მით ეუწყოს ბ. ტატიშვილს, რომელსაც ცილის წამებათ მიუღია ის წერილი, რომ მე იმ წერილით არავის პირადობას შევხებივარ და სახეშიც არ მქონია ბ. ტატიშვილისადმი ბრალდება ფულების გაფლანგვაში, არამედ წერილის მიზანი სულ სხვა იყო, რომლისადმი სამწუხაროდ მან ვერ მიაღწია ბ. ტატიშვილს მე ბრალს არ ვდებდი ფულების გაფლანგვაში მით უმეტეს, რომ მე იმას ვიცნობდი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელს ამ საქმეში და არა საზოგადოებიდან ამორჩეულ პირათ და მაშასადამე კიდევაც რომ ეჭვი მქონდეს მაზე ფულების გაფლანგვაში, არაფერს ვიტყოდი, რადგან ეს ისევ ჩვენგან ამორჩეული პირების მიზეზი იქნებოდა. კიდევ გავიმეორებ: მე იმ წერილით სახეში არა მქონია წარსულ საქმეს გამოვკიდებოდი; ეს იქიდანაც სჩანს, რომ ფულების ანგარიშზე ფარულათ მოვიხსენიე „დიდ ძალი ფული-თქო“, მაშინ როდესაც დარწმუნებით ვიცოდი, რომ 4,000 მ. იყო შეკრებილი საქმისთვის და ისიც ვიცით, თუ რაში როგორ დაიხარჯა ეს ფული, ამასთანავე ისიც, თუ ვინა და ვინ განაგებდა ამ ფულების ბედ-იღბალს. დიახ, ამ საგანზე მე ისევ მდუმარება ვირჩიე მაშინაც და ახლაც, ამის შესახებ მე ისევ სხვათა შორის ჩამოვაგდე სიტყვა საქმის თავიდან გასაცნობათ და წერილით კი პირდაპირ მსურდა შევხებოდი „წყლის ოლქის ნამყო და აწმყო გამგეობას და ამ გამგეობის ავკარგიანობას, მხოლოდ სწორე ეს ნაწილი წერილისა არ იქნა დაბეჭდილი, რითაც წერილმა თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა, უშინაარსო გამოდგა და მით ჩემდამი მძულვარება გამოიწვია ბ. ტატიშვილისა. როგორც ვიცით ბ. ტატიშვილი ფულს არ ბოჭავდა ამ საქმისათვის და თუ ღებულობდა, ღებულობდა გადასაცემათ ჩვენგან ამორჩეულ პირებისა, რომლებისათვისაც გადაუცია კიდეც ის რაც შეეხება მის მოქმედებას მადლობის ღირსიც არის, რადგან დიდი დახმარება აღმოუჩინა საქმეს, მუშის განოსაწყევათ.

მაშინდელი «ადგილობრივი მემატიანე»

---

## სამკურნალო ცნობა

—

ყვავილი*). საშუალო საუკუნის ექიმები დიდს განსაცდელში იმყოფებოდნენ, რადგანაც მათი ზომები ჭიროვანს ბავშვებს ვერ ახდენდნენ ყვავილის წინააღმდეგ და მაშინდელი მტარვალი მმართველები წამებითი სასჯელს აძლევდნენ. მაგალითად, როდესაც ბურგუნდიის დედოფალი ავსტრგიდა ყვავილით კვდებოდა, ანდერძი დაუტოვა მეფეს, რომ ის ორი ექიმი სიკვდილით დაესაჯა, რომლებიც დედოფალს სწამლობდნენ. მეფემ, დედოფლის სიკვდილის შემდეგ, ანდერძი აღსრულებაში მოიყვანა და ორივე უბედური ექიმები შუბებით დაახვრეტინა.—ამგვარი მაგალითები ხშირი იყო საშუალო საუკუნოებში, ვიდრე ჟამთა-ვითარების წყალობით არ მოევლინა ხალხს დასახსნელად ამ მავნებელი სენისაგან—წარჩინებული ექიმი დჟენერი, რომლის გამოკვლევამ სრულიად გაჰფანტა ყოველივე უმეცარი შეხედულება ყვავილის შესახებ და გამოიკვლია რაციონალური სამკურნალო საშუალება.

ძველადვე აზიაში მიღებული იყო, რომ როდესაც ადამიანი ერთხელ გადიხდიდა ყვავილს მეორედ აღარ შეხვდებოდა; ამ შეხედულებამ მაშინდელ ხალხოსნობაში ის აზრი დაბადა, რომ მსუბუქათ რომ გადმოვიღოთ ყვავილის ავადმყოფობა საღზედ უფრო ადვილად იხდისო. გატაცებულნი ამ აზრით ინდოელები, ჩინელები და შემდეგ ევროპიელნიც შემდეგ ზომებსა ხმარობდნენ. მიიყვანდნენ ყვავილით მძიმე ავადმყოფთან საღებს, დააწვენდნენ ქვეშაგებში, ჩააცმევდნენ ავადმყოფისავე საცვლებს (ამას ეძახდნენ „ყვავილის სესხებას). გარდა ამგვარი ზომებისა უფრო შესაზარ საშუალებას ხმარობდნენ: იღებდნენ ავადმყოფისაგან ჩირქს უსვამდნენ ცხვირის ნესტოებში, ზელდნენ და ხშირათ ჩაასულაპავდნენ კიდეც, რომ უფრო მალე იმოქმედოსო.

ინდოეთის ცრუმორწმუნენი ექიმობას ასრულებდნენ და საშინელ ზომებს მართავდნენ: უჩრიდნენ ბავშვს ხელების ორთა თითის შუა გულს და იქიდგან აწვეთებდნენ ყვავილის ჩირქს, ამგვარადვე იქცეოდნენ საბერძნეთის ქალები, რომლებიც აცრაში სპეციალისტებად ითვლებოდნენ.

ევროპის სახელმწიფოებში ყვავილის აცრა შემოიღეს 18 საუკუნეში და განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს ინგლისელებმა და დიდის სისწრაფითაც გაავრცელეს.

ინგლისის ელჩის მეუღლემ ლედი მონტეგიუმ პირველად თავისი შვილი აცრევინა სტამბოლში, იქიდან დატენილი ყვავილებით გადმოიყვანა ინგლისში და ინგლისში პირველად აცრევინა თავისი ქალი 1721 წ.,—როდესაც გამოაჩნდა ყვავილი და მსუბუქადაც მოიხადა. ამ შემთხვევამ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მეფის პალატში მეფის დიდებულებზედ, რომ ყვავილის აცრა რამდენჯერმე სცადეს დამნაშავეებზედ და რა დაინახეს ნაყოფიერი შედეგი, სუყველამ დიდის აღტაცებით აცრევინეს და ჭიროვანსაც დაჯილდოვდა მათი სურვილი.

რუსეთში ყვავილის აცრა შემოიღეს 1768 წ. იმპერატრიცა ეკატერინე II-ს დროს. იმპერატრიცამ პირველად აცრა მემკვიდრეს პავლეს, სასწრაფოდ ინგლისიდგან გამოიწერეს ექიმი დიმსდელი, რომელიც მეტად გულუხვად იქმნა დაჯილდოვებული. ნახევარ მილიონი ფული უბოძა ეკატერინე II-

(* იხ. «ცნ. ფურც.» № 757.

25000 მანეთი ჰენცია წელიწადში და დეისტვ. სტ. სოვეტნიკის ღირსება.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

— რა ამბავია, კაცო, რომ ამ ზამთარში ველოსიპედებს ყიდულობ, ტარება მაინც იცოდე მისი? მერამდენე მგ ველოსიპედი?

— მეოთხე... მაგრამ განა ველოსიპედის დასაგირავებლად მისი ტარების ცოდნაა საჭირო?

— მერე-და რა ხელს მოგცემს?

— იმ ხელს მომცემს, რომ ველოსიპედის ფასს ნაწილ-ნაწილად ვიხდი, ვაგირავებ და შემდეგ კი კვიტანციებს ვყიდი.

—

პაწია აზრი. მითხარი, რამდენს ხარჯავ წამლებზე და მე გეტყვი შენი ჯანის მდგომარეობას.

—

მონადირეები მინდორზე დასხდნენ დასანაყრებლად.

— რა კარგი სამყოფია აქ და რა მოსვენებული ვართ.

— ეგ იმიტომ, რომ აქ ჩვენი ცოლები არ არიან.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

22 თებერვალი

**პეტერბურგი.** გუშინ მცოდნე საქმეთა თანადასწრებით გამოსცადეს ახლად გამოგონილი ნივთიერება „ურალიტი“. ურალიტი შემოახვიეს ხის ფარდულს და მერე ცეცხლი წაუკიდეს. ფარდული ერთის საათის განმავლობაში ცეცხლში იყო, მაგრამ არ დაშავდა.

**პეკინი.** თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ჩინეთის მთავრობა არ შეიწყნარებს იტალიის თხოვნას სანმუნის ნავთ-სადგურის შესახებ, მაგრამ დეპეშის უკან დაბრუნება-კი ჩვეულ ების წინააღმდეგ საქციელად არის მიჩნეული. აქ ელოდებიან იტალიის სამს სამხედრო გემს. გემი „მარკოპოლო“ შანჰაიში სდგას. ამ გემის უფროსი ტინძინში მივიდა, იქვე წავიდა მოსალაპარაკებლად მარტინოც.

**ვენა.** ჩეხიის გლეხთა წლიურ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: გამოვუცხადოთ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს ჩვენი მადლობა მშვიდობიანობის დამყარების სურვილისათვის და მოვახსენოთ, რომ ვეცდებით რაც შეგვეძლება იმ დიადს საქმეს დავეხმაროთ, რომელიც განიზრახა მისმა უდიდებულესობამ.

**მადრიდი.** ტყუილია ის ხმები, ვითომ აგიტაცია სადმე იყოს კარლოსის სასარგებლოდ. ისიც ტყუილია, ვითომ ესპანიის ჯარიდგან გაქცეული 2000 კაცი შეიკრიბა საფრანგეთის საზღვარზედ და მზად არიან კარლოსს დაეხმარნენ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ალლარი თხოულობს 200,000 ფრანკი გადავდოთ იმათთვის, ვინც დაზარებულ იქმნა ტულონში მომხდარ აფეთქებისაგანაო. დიუპუი მიემხრაო ამ თხოვნას, რომელიც გადაეცა საბიუჯეტო კომისიას.

დელკასემ სთქვა, რომ 1862 წელს საფრანგეთსა და ინგლისის შორის შეკრულ კონვენციის ძალით საფრანგეთს მასკატში ისეთივე საწყობი უნდა ჰქონდეს ნახშირისა, როგორიც ინგლისსა აქვსო. ინგლისმა შეიწყნარა საფრანგეთის უფლებაო. პალატა შეუდგა ახალშენების ბიუჯეტის განხილვას.

23 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ ხელის-მოწერა გაიმართოს ყველგან შეწირულებათა შესაკრებად, რათა ვილნაში ძეგლი დაედგას იმპერატრიცე ეკატერინეს.

**პარიზი.** საკასაციო სასამართლომ, ყველა პალატათა საზოგადო კრებაზედ, რომელიც მაზოს თავმჯდომარეობით შესდგა, დრეიფუსის საქმის გადაშინჯვის შესახების მოხსენების მომხსენებლად დაჰნიშნა სამოქალაქო პალატის პრეზიდენტი ბალლ-ბოპრე. დაბეჯითებით ამბობენ, რომ საჯაროდ განხილვას საქმისას 29 მარტზედ ადრე არ შეუდგებიანო.

**მადრიდი.** სენატი. ალმენასი სცდილობს ლაპარაკს, მაგრამ ხმაურობა უშლის. სილველამ წაიკითხა ბრძანება პალატის დახურვის შესახებ. ზოგიერთმა ლიბერალმა სენატორებმა დაიწყეს ძახილი: „თავისუფლებას გაუმარჯოსო!“ ალმენასმა შესძახა: „ფლოტს გაუმარჯოსო!“ კრება დიდის მღელვარების დროს დაბოლოვდა.

პალატა. რესპუბლიკელმა იბანესმა სთქვა: „რადგან სამხედრო მინისტრმა გუშინ წირვა შეუკვეთა, რომელსაც თითონ და სხვა და სხვა განყოფილებათა უფროსები დაესწრნენ, — ჩემის აზრით კარგს იზამს პალატა, რომ კრება ლოცვის წაკითხვით დაიწყოს“ (სიცილი გაისმის) რესპუბლიკელმა აზკარატემა განაცხადა, რომ უნდა განსჯილ იქმნას ის საქმე, თუ რითი დაბოლოვდეს კრიზისიო. მდივანმა წაიკითხა ბრძანება ახალის სამინისტროს დანიშვნის შესახებ. პალატის პრეზიდენტმა წაიკითხა ბრძანება პალატის დათხოვნის შესახებ. იბანესმა დაიძახა: „შორს ჩვენგან იეზუიტნიო!“ მეორენი ჰყვიროდნენ: „თავისუფლებას გაუმარჯოსო!“ (ხმაურობაა).

**პეკინი.** იტალიის ელჩმა უარი განაცხადა, პირდაპირ ცზუნგ-ლი-იამენთან არ მინდა მოლაპარაკების განგრძობა, რადგან როდესაც იტალიის მოთხოვნილებანი უ[...] ჰყო, იგი მეტად არა დიპლ[...]ტიურად და უზრდელად ჰმო[...]დობდაო. ელჩი დღესა ჰბრუნ[...] ტიანძინიდგან.


# განცხადებანი

იაკობ გოგებაშვილის წიგნები

**სხივი წარსულისა,** ისტორიული ამბავი, ფასი ერთი შაური.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი,** ისტორიული მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

**მოსავლის მცველნი,** ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი აბაზი.

**თავდადებულნი ქართველნი,** ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

**ასპინძის ომი,** ისტორიული მოთხრობა, მეფე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით, მეორე გამოცემა, ფასი ორი შაური.

**РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по русскому слоу, გამოცემა მეორე, შევსებული, ფასი ყდით სამი აბაზი.

**ОЧЕРКЪ,** сравнительной грамматики русскаго и грузинскаго языковъ ფასი ერთი აბაზი.

**КЪ ВОПРОСУ,** поднятій уровня образованія среди грузинскаго дворянства, ფასი ერთი აბაზი.

**РАЗБОРЪ,** учебныхъ руководствъ по русскому языку, ფასი ერთი შაური.

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО,** ფასი ერთი აბაზი.

ყველა ეს წიგნები იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და დასავლეთს საქართველოში წიგნის მთავარ მაღაზიებში: ბეჟანეიშვილთან, თევართქილაძესთან, წერეთლებთან, ხეთერელთან და ჭილაძესთან. (6—6)

**1899 годъ** **изданія гсдъ**

Отрыта подписка на выходящее 20 разъ въ годъ, т. е. по одному ра[...] теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль, августъ) и по дв[...] въ остальное время, илюстрованное изданіе безъ предварительной цен[...]

## „Журналъ Журналовъ и Энциклопедическое Обозрѣніе“.

Въ 1898 году были напечатаны слѣдующія оргинальныя статьи: проф.—Г[...]тизмъ и внушевіе;—Замѣтки о соціализмѣ; —Х-лучи Рентгена. Радіоскопія [...] діографія; —Потребленіе свѣта растеніями;—1) Вліяніе смѣшенія расъ на исхожденіе генія, 2) Междунар дный языкъ будущаго; В. Ф. Головачовъ—О на[...] флота для Россіи на основаніе исторіи, И. А. Гриневская—1) Альфонсъ Додэ, 2) С[...] выставка, 3) Альма Тадема; 4) Герг. Гауптманъ; проф. Н Коркуновъ—1) Доменико [...]ландайо и вновь открытая во флоренціи его фреска, 2) Экономическія теоріи кос[...]ства; проф. 1) Послѣдствія американской побѣды, 2) Типъ преступной жен[...] М. М. Манасеина О деньгахъ и о багатствѣ; проф. Д. И. Менделѣевъ Золото [...]ребра; проф Обсерваторія на Монрозѣ и альпійская станція; проф. О совпаде[...] (съ примѣч. Тріема); Л. Е. Оболенскій Дикость совершенныхъ западно-европ[...]ныхъ масъ и ея причины; проф. О чародѣйствѣ и волшебствѣ у первобытныхъ [...]довъ, 1) Задачи воздухоплаванія въ 1897 г., 2) Стремленіе къ жизни и т[...] конечныхъ причинъ; проф. Л. Саккети Задачи искуства; прив.-доц. Спб. Унив. [...]рафимовъ—Новости астрономіи; акад. кн. И. Р. Тархановъ.—1) Неожид. науч[...] слѣдіе стараго года, 2) О періодичности въ явленіяхъ жизни, 3) Физич. энергі[...] роды въ качествѣ цѣлебн. силъ, 4) О чувствѣ оріентированія у голубей, 5) По[...]луби, 6) О закаливаніи человѣка, 7) О іейронахъ, 8) Физіол. и психол. обезглав[...] 9) Рентгеновы лучи и Θемида; и др.; Тремъ—О томъ, что было, но прошло и бы[...]поросло; и другія статьи разныхъ авторовъ.

Кромѣ оргинальныхъ статей, не появлявшихся до сего въ печати и напи[...]ныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мыслите[...] какъ русскими, такъ и иностраными, въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются экс[...]ты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющихся [...] русской или иностранной періодической прессѣ, а также критика и библіографія [...]зрѣніе русскихъ и иностранныхъ журналовъ смѣсь, гигіена и здоровье и пр. Въ п[...]рамму журнала входитъ: науки естеств., медиц. физико-математ., исторія и общ[...] науки, философія, метафизика, психологія. литература, искуства, критика и т. д.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ при сотрудничествѣ и под[...]блюденіемъ акад. кн. И. Р. Тарханова; исторіи—при сотрудничествѣ и В[...] Головачова.

| Подписная цѣна. | | на годъ. | на 1/2 |
|---|---|---|---|
| | На роскошное изданіе съ доставк. и перес. | 10 р. | 6 р. |
| | На дешевое изданіе безъ достав. | 5 „ | 3 „ |
| | „ „ „ съ достав. | 6 „ | 4 „ |
| | За границу деш. изд. | 9 „ | 5 „ |
| | „ „ роск. изд. | 14 „ | „ |

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к., роскошнаго изданія по 1 р.

Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными илюстр[...]ми и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе съ [...]сылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала до[...]ется со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1 января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значительныхъ книжныхъ [...]зинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ И. П. Кондыревъ.

Контора и редакція СПБ., Гороховая, 13 (уголъ Б. Морской).

(10—3)


Дозволено пензурою. Тифлисъ, 24 Февраля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბ[...]